

## LEGAL LINGUISTICS AND LEGAL TRANSLATION

იურისლინგვისტიკა და იურიდიული თარგმანი

**Natia Amirejibi**

Doctor of Philology, Visiting Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University,  
Tbilisi, 1 Ilia Chavchavadze Avenue, 0179, Georgia

+995599448374, natia.amirejibi@tsu.ge,  
<https://orcid.org/0000-0002-8632-9805>

**Abstract.** In the modern world, parallel to the globalization process and the active development of international contacts, the language of law and legal translation have acquired special relevance. As a relatively new branch of science and practical activity, Legal Linguistics is of multifaceted interest: it includes both local and international law, economics, politics, culture, science, etc., as well as legal translation.

Legal Linguistics operates with units of jurisprudence and linguistics. Legal translation is one of the types of sectoral/genre translation and, at the same time, it is a separate direction of scientific activity. Legal linguistics and Legal translation are based on the linguistic research of legal concepts and the search for terminological correspondences in another language. Over time, jurisprudence expands more and more, is loaded with new concepts, which requires fluency in the language of law and adequate translation into other languages. Legal Translation was and remains one of the most difficult, popular and demanding types of translation. Any international activity, contact is accompanied by the signing of agreements and other documents that require translation.

This article discusses Legal Linguistics as a field of linguistics and strategies for translating legal texts; examples are given.

**Keywords:** Legal Linguistics, translation, science, stylistics, analysis.

**ნათია ამირეჯიბი**

ფილოლოგიის დოქტორი,  
ივანე ჯავახიშვილი სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მოწვეული პროფესორი,  
ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179, საქართველო,  
+995599448374, natia.amirejibi@tsu.ge,  
<https://orcid.org/0000-0002-8632-9805>

**აბსტრაქტი.** თანამედროვე მსოფლიოში, გლობალიზაციის პროცესის და საერთაშორისო კონტაქტების აქტიური განვითარების პარალელურად, განსაკუთრებული აქტუალურობა შეიძინა სამართლის ენამ და იურიდიულმა თარგმანმა. როგორც მეცნიერების და პრაქტიკული საქმიანობის შედარებით ახალი დარგი, იურისლინგვისტიკა მრავალმხრივ ინტერესს განაპირობებს: მოიცავს როგორც ლოკალურ, ისე საერთაშორისო სამართალს, ეკონომიკას, პოლიტიკას, კულტურას, მეცნიერებას და სხვ., ასევე, იურიდიულ თარგმანს.

იურისლინგვისტიკა იურისპრუდენციისა და ენათმეცნიერების ერთეულებით ოპერირებს. იურიდიული თარგმანი დარგობრივი/ჟანრობრივი თარგმანის ერთ-ერთი ნაირსახეობა და, ამავე დროს, სამეცნიერო საქმიანობის ცალკე მიმართულებაა. იურისლინგვისტიკას და იურიდიულ თარგმანს საფუძვლად უდევთ სამართლებრივი ცნებების ლინგვისტური კვლევა და სხვა ენაზე ტერმინოლოგიური შესაბამისობების დამებნა. დროთა განმავლობაში იურისპრუდენცია სულ უფრო მეტად ფართოვდება,

იტვირთება ახალი ცნებებით, რაც სამართლის ენის გამართულობას და სხვა ენებზე ადეკვატურ გადატანას მოითხოვს. იურიდიული თარგმანი იყო და რჩება თარგმანის ერთ-ერთ ყველაზე რთულ, პოპულარულ და მოთხოვნად სახეობად. ნებისმიერ საერთაშორისო საქმიანობას, კონტაქტს თან ახლავს ხელშეკრულებების და სხვა დოკუმენტების გაფორმება, რასაც თარგმნა სჭირდება.

წინამდებარე სტატიაში განხილულია იურისლინგვისტიკა, როგორც ენათმეცნიერების დარგი და იურიდიული ტექსტის თარგმნის სტრატეგიები; გაანალიზებულია მაგალითები.

**საკუანძო სიტყვები:** იურისლინგვისტიკა, თარგმანი, მეცნიერება, სტილისტიკა, ანალიზი.

**შესავალი.** იურისპრუდენცია მნიშვნელოვან როლს ასრულებს და განსაკუთრებული ადგილი უჭირავს თანამედროვე საზოგადოების ცხოვრებაში. ყველა განვითარებულ ქვეყანაში ის კულტურის განუყოფელი ნაწილია რელიგიასთან, მეცნიერებასთან, ხელოვნებასთან, ლიტერატურასთან და ფილოსოფიასთან ერთად, ამიტომ მისი გამოყენების სფერო იურიდიული დისკურსით არ შემოიფარგლება და ამ სფეროს მიღმაც აქტიურად ფუნქციონირებს. განსაკუთრებით აღსანიშნია იურისპრუდენციისა და ენათმეცნიერების ურთიერთქმედება.

ენისა და სამართლის ურთიერთკავშირი უკვე დიდი ხანია ცალკე შესწავლის საგნად იქცა როგორც იურისტებისთვის, ისე ლინგვისტებისთვის. ის სათავეს ძველი საბერძნეთიდან იღებს. ბერძნებამდე, მსოფლიოში არც ერთ ხალხს არ მოსვლია აზრად მეცნიერების ორი დარგის – ლინგვისტიკისა და იურისპრუდენციის – გაერთიანების იდეა. თუმცა, ძველი აღმოსავლური ცივილიზაციის ძეგლებში დადასტურებულია, რომ სამართლისა და ენის კავშირი ძალზე მნიშვნელოვანი იყო სასამართლო წარმოების პროცესში. „მაგალითად, ხამურაბის კანონებში (ძვ.წ. XVIII ს.)<sup>1</sup> პირველი მუხლი ყალბი ბრალდებისთვის, ანუ ტყუილისთვის სიკვდილით დასჯას

<sup>1</sup> ხამურაბის კანონები, იგივე ხამურაბის კოდექსი (აქად. Inu Anum sīrum „როდესაც უმაღლესი ანუ...“) – ძველი ბაბილონის საკანონმდებლო კოდექსი. წარმოადგენს ძველ მესოპოტამიაში სამართლის განვითარების მწვერვალს. შეიქმნა მეფე ხამურაბის დროს ძვ.წ. 1750-იან წლებში. მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი სამართლებრივი ძეგლი. ძირითადი ტექსტი შემორჩენილია ლურსმული წარწერის სახით აქადურ ენაზე, რომელიც ამოკვეთილია კონუსის ფორმის დიორიტის სტელაზე. აღმოაჩინა ფრანგულმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 1901-1902 წლებში სპარსეთში, უძველესი ქალაქის სუზას გათხრების დროს. „კანონები“ 282 პუნქტად იყოფა, რომლებიც არეგულირებნ სასამართლო წარმოების, საკუთრების, ქორწინების და ოჯახური ურთიერთობების, ასევე, კერძო და სისხლის სამართლის საკითხებს. იმ დროს არ არსებობდა დღევანდელი ცნება “nullum crimen sine lege” – „დანაშაული არ არსებობს კანონის გარეშე“. ამიტომ მესოპოტამიურ კანონებში დანაშაულის ყველანაირი შემთხვევა არ არის ასახული. „კანონები“ მრავალი საუკუნის განმავლობაში ახდენდნენ გავლენას ძველი აღმოსავლეთის იურიდიულ კულტურაზე. ნორმატიული შინაარსისა და სამართლებრივი სტრუქტურების სიმდიდრით ხამურაბის კოდექსს მხოლოდ რომის სამართალი აღემატება. მიუხედავად იმისა, რომ ხამურაბის კანონები ახლო აღმოსავლეთის კლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბების აღრულ ეტაპზე შეიქმნა, რამაც სისხლისსამართლებრივი სასჯელების შედარებითი სიმკაცრე და სისასტიკე გამოიწვია, კოდექსი განსაკუთრებული გააზრებულობითა და სამართლებრივი რეგულირების ჰარმონიულობით გამოირჩევა. აღმოსავლეთის სხვა უძველესი ძეგლებისგან განსხვავებით, ხამურაბის კოდექსი ხასიათდება ინდივიდუალური სამართლებრივი ნორმების დადგენით და რელიგიური მოტივაციის თითქმის სრული არარსებობით, რაც მას პირველ წმინდა საკანონმდებლო აქტად აქცევს კაცობრიობის ისტორიაში (Законы вавилонского царя Хаммурапи, 2023)

ითვალისწინებს, ხოლო 178-ე მუხლი ანდერძის ბეჭდით დამოწმებას მოითხოვს. მართალ სიტყვაზე ორიენტაცია ასევე ახასიათებს ძველ ეგვიპტურ წარმოდგენებს კანონისა და სამართლიანობის შესახებ, რომელთა მფარველი და სიმბოლოა ქალღმერთი მაატი.<sup>2</sup> ენისა და სამართლის მეცნიერების ჩასახვა მანუს ძველ ინდურ კანონებშიც ჩანს (ძვ.წ. II – ახ.წ. II სს.):<sup>3</sup> „უნდა ილაპარაკო სიმართლე, ილაპარაკო სასიამოვნო რამ, არ უნდა თქვა უსიამოვნო სიმართლე, არ უნდა თქვა სასიამოვნო ტყუილი – ასეთია მარადიული დჰარმა“ (Виноградова, 2021). რომის იმპერიაში აღნიშნულ საკითხთან მიმართებით შემდეგი დებულება ჩამოყალიბდა: „სამართალი შეიძლება და უნდა იყოს გარკვეული/გასაგები“ (იუსტინიანეს დიგესტები).<sup>4</sup> ეს სწორედ ის

<sup>2</sup> მაატი (er m̄t, კოპტური me, mei „ჭეშმარიტება“) – ჭეშმარიტების, სამართლიანობის, კანონიერების და წესრიგის ძველებვიტური ქალღმერთი, რომელიც მართავდა ვარსკვლავებს, წელიწადის დროებს, მზის ამოსვლას და ჩასვლას. სამყაროს შექმნის დროს მან შექმნა წესრიგი ქაოსისგან (ისფეტისგან). თავისი ორმაგი ფორმით მაატი სამხრეთისა და ჩრდილოეთის ქალღმერთია. კოსმიურ დონეზე მაატი სიმბოლურად განასახიერებდა სამყაროს შემოქმედის მიერ ბოძებულ ღვთაებრივ წესრიგს და კანონს, რომლის მიხედვითაც წელიწადის დროები ერთმანეთს ცვლის, ცაში ვარსკვლავები და პლანეტები მოძრაობენ, არსებობენ ღმერთები და ადამიანები და მათი ურთიერთჯემედება. იგი საიქიოს სასამართლო დარბაზს განაგებდა. ოსირისის სამსჯავროზე „ორი ჭეშმარიტების დარბაზში“ მაატი თავის ჭეშმარიტების ბუმბულს სასწორის ერთ თასზე დებდა, მიცვალებულის გულს – მეორე თასზე (ამიტომაც, ყველა შინაგანი ორგანოდან მუმიას მხოლოდ გულს უტოვებდნენ). თუ გული ბუმბულის წონის, ან უფრო მსუბუქი აღმოჩნდებოდა, ეს ნიმნავდა, რომ მიცვალებულმა მართალი ცხოვრებით იცხოვრა და დასავლეთის ქვეყნის იალუს ნაყოფიერი მინდვრების ღირსი იყო. თუ გული გადაწონიდა, მაშინ მას ამატი – ურჩხული ჰიპოკოტამის სხეულით, ლომის თათებითა და ფაფარით, ნიანგის პირით – შეჭამდა და ცოდვილი სამუდამო დავიწყებას მიეცემოდა. მაატის იდეა მველი ეგვიპტელების ყველა იდეის ღერძია სამყაროს შესახებ და მათი მსოფლმხედველობის ეთიკური საფუძველი. ეგვიპტელისთვის ცხოვრების მიზანი მაატამდე მიღწევა იყო. კარნაკის კომპლექსის მაატის ტამარში რამზეს IX-ის დროს გაიმართა სამეფო სამარხების მძარცველთა სასამართლო პროცესი. ეგვიპტური კანონის ფორმალიზებული კოდექსი ნაპოვნი არ არის; მეცნიერები მაატის კანონების მორალიზებული ლიტერატურით ხელმძღვანელობენ, რომელსაც „მაატის ლიტერატურა“ ეწოდება (Maat, 2023).

<sup>3</sup> მანუსმრიტი (სანსკრ. लिपिमत्री, ასთ: manusmṛti) – უძველესი ინდური სამართლის კრებული, ზნეობის კოდექსი, რომელიც ტრადიციით მიეკუთვნება კაცობრიობის ლეგენდარულ წინაპარს – მანუს. არის ერთ-ერთი ცხრამეტი დჰარმა შასტრადან, რომლებიც სმრიტის ლიტერატურის ნაწილია. მეცნიერებაში მიღებულია გეორგ ბიულერის თვალსაზრისი, რომ მანუსმრიტი იმ სახით, როგორითაც ჩვენამდე მოაღწია, ჩამოყალიბდა ძვ.წ. II – ახ.წ. II სს. (მანუსმრიტის კანონებიდან, 2023)

<sup>4</sup> დიგესტები (ლათ. digesta „შეგროვებული“/„ნაკრები“, „სისტემაში მოყვანილი“) – ავტორიტეტული რომალი იურისტების ნაშრომებიდან ამონარიდების ვრცელი კრებული (50 წიგნისგან შედგება), რომელიც რომაული სამოქალაქო სამართლის კორპუსის (Corpus iuris civilis) ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია. კრებულის სრული ლათინური სახელწოდებაა Domini nostri sacratissimi principis Iustiniani iuris enucleati ex omni vetere iure collecti Digestorum. seu Pandectarum. აქედან მომდინარეობს კრებულის მეორე სახელწოდება – Pandekta (ბერძ. πανδέκτης „ყოვლისმომცველი“). დიგესტები შედგენილია ბიზანტიის იმპერატორის იუსტინიანე I-ის ბრძანებით 530-533 წწ. დიგესტების ტექსტს (ანუ მათში შეტანილი კონკრეტული მეცნიერი-იურისტის თითოეულ მოსაზრებას) კანონის ძალა ჰქონდა. კრებულის დიდი ნაწილი კერძო სამართალს ეხება; გარდა ამისა, დიგესტები არეგულირებდნენ საჯარო სამართლის გარკვეულ საკითხებს და შეიცავდნენ ზოგადი პრინციპების განმსაზღვრელ მთელ რიგ კანონებს. დიგესტები გამორჩეული იურიდიული ძეგლია. დიგესტებმა, როგორც რომაული სამართლის რეცეფციის მთავარმა ობიექტმა, მნიშვნელოვანი გავლენა იქონია თანამედროვე სამოქალაქო სამართლის და სამოქალაქო სამართლის მეცნიერების განვითარებაზე, აგრეთვე, სამართლის ზოგადი თეორიის ჩამოყალიბებაზე (Дигесты Юстиниана. Избранные фрагменты с переводом и примечаниями И.С. Петерского, 1984).

ამოცანაა, რომელიც იურისლინგვისტიკის წინაშე დგას, ანუ იურიდიული ტექსტი თავისი შინაარსით ზუსტი და, ამავე დროს, გასაგები უნდა იყოს.

XXI საუკუნეში იურისპრუდენცია სულ უფრო მეტ ყურადღებას იპყრობს, როგორც უშუალოდ დარგის სპეციალისტების, ისე ლინგვისტების და ტერმინოლოგების მხრიდან. ინტერესის სფეროებია მისი ქვედარგები – ტექსტის ლინგვისტური ექსპერტიზა, ზუსტი სამართლებრივი ტერმინების შექმნა, იურიდიული კონცეპტების მართებული გადატანა სხვა ენებზე და სხვ. იურიდიული ენა განსაკუთრებული სისტემა და შინაგანი კანონზომიერება ახასიათებს; სამართლებრივი ტექსტი ძირითადად კოგნიტურ ინფორმაციას გადმოსცემს. ამ კოდის დეკოდირება განსაკუთრებულ ჰერმენევტიკულ პრეზუმეციას და აზროვნების კულტურას მოითხოვს. სწორედ ამიტომაა, რომ კვალიფიციური იურისტები ადვილად, დიდი ძალისხმევის გარეშე იგებენ კონკრეტული სამართლებრივი ნორმის აბსტრაქტულ შინაარსს.

**კვლევის მეთოდები.** სტატიაში გამოყენებულია ინტერდისციპლინური კვლევის მეთოდი: სამართლებრივი და ლინგვისტური ანალიზი, კონტენტ-, კომპარატიული- და დისკურსის ანალიზი; ლოგიკური მოდელირების, ინტროსპექციის, რეტროსპექციის მეთოდები.

**შედეგები და მსჯელობა.** იურისლინგვისტიკა და ლინგვოიურისტიკა<sup>5</sup> თანამედრივე ენათმეცნიერების შედარებით ახალი, გამოყენებითი დარგებია, რომლებიც ენისა და სამართლის მიჯნაზე აღმოცენდნენ და მულტიდისციპლინური ხასიათი აქვთ. ისინი მჭიდრო კავშირში არიან სოციოლინგვისტიკასთან, ლინგვისტურ კონფლიქტოლოგიასთან, ფსიქოლინგვისტიკასთან, ლინგვოეკოლოგიასთან, პარალინგვისტიკასთან. მათ კვლევის სფეროში შედის: იურიდიული კომუნიკაცია, სამეტყველო სამართალდარღვევები, იურიდიული ჰერმენევტიკა, იურიდიული ტექსტი, სამართლის ენა, ენისა და მეტყველების მანიპულირების სუგესტიური ფუნქცია, ლინგვისტური კონფლიქტოლოგია, ლინგვისტური ექსპერტიზა, კანონებისა და ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების ტექსტების შემუშავების მეთოდოლოგია, ენობრივი სტრატეგიის გარკვევის მიზნით მიმდინარე კრიმინალისტიკური კვლევები, თეორიული და პრაქტიკული კვლევები იურიდიული თარგმანის მიმართულებით, იურისლინგვისტიკის ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა და სხვ. აქედან გამომდინარე, იურიდიული ლინგვისტიკა, როგორც მეცნიერება, ვიწრო სპეციალურ საზღვრებს სცდება და უნივერსალურ ხასიათს იძენს (Голев, 2006).

ლინგვისტიკაში საზოგადოდ აღიარებულია დებულება, რომ იურიდიული ენა სალიტერატურო ენის ერთ-ერთი შრეა, ამიტომ იურიდიული ენისადმი ლინგვისტური მიდგომა მის სალიტერატურო ნორმის ფარგლებში მოქავას გულისხმობს. თუმცა, იურიდიულ ენას, როგორც ფენომენს, ჩვეული ლიტერატურული სუბსტრატისგან განსხვავებული თვისებები აქვს.<sup>6</sup> სამართლის ენა რამდენიმე ქვეენას აერთიანებს: კანონმდებლობის ენა, კანონქვემდებარე აქტების ენა,

<sup>5</sup> იურისლინგვისტიკის და ლინგვოიურისტიკის ობიექტს წარმოადგენს ენისა და სამართლის მიმართება: ენის მიმართებას სამართალთან სწავლობს იურისლინგვისტიკა, ხოლო სამართლის მიმართებას ენასთან – ლინგვოიურისტიკა. ენის სამართლებრივი ასპექტები იურისლინგვისტიკის საგანია, სამართლის ლინგვისტური ასპექტები – ლინგვოიურისტიკის.

<sup>6</sup> ენობრივი განსხვავებულობა არა მარტო სამართალს შეეხება: ასეთივე ცალკე ენობრივ შრეს წარმოქმნიან ენა და ხელოვნება, ენა და მეცნიერება, ენა და რელიგია და ა.შ. ენა სპეციფიკურ ელფერს იძენს და კონკრეტული სფეროს პოზიციებიდან განიხილება. მაგ., ნარატივის ესთეტიზმირებული ენა, ან რელიგიის საკრალური ენა (Мечковская, 1998).

სამართალდამცავი პრაქტიკის ენა (ასევე რამდენიმე ტიპად იყოფა), იურიდიული მეცნიერების ენა, იურიდიული განათლების ენა, იურიდიული ჟურნალისტიკის ენა და სხვ. ამიტომ ტექსტის გაანალიზებისას აუცილებელია ქვეჯანრის განსაზღვრა. სამართლებრივ მენტალობაში ენა, პირველ რიგში, აღიქმება როგორც კანონმდებლის აზრისა და ნების განხორციელების საშუალება. ამ კუთხით იურისლინგვისტიკის ცნებას სავსებით მიესადაგება არისტოტელეს ფორმალურ ლოგიკაზე<sup>7</sup> დაფუძნებული კონცეფცია, რომელიც ენას აზროვნების იარაღად მიიჩნევს. არსებობს სხვა მიდგომაც, რომლის მიხედვითაც ენა იურიდიული საქმიანობის სუბსტანციას წარმოადგენს. აღნიშნულ მოსაზრებას რადიკალურ კონცეფციამდე მივყავართ, რომლის თანახმადაც ენა სამართლის არსებობის საშუალებაა. ამ ფორმულის მიხედვით ლინგვისტიკა იურისპრუდენციის ფუნდამენტია და მას სამართლის გრამატიკა ეწოდება (Александров, 2000:102). ამ შემთხვევაში იურიდიული მოღვაწეობა სამართლებრივი შინაარსის ტექსტების შექმნასა და განმარტებაში მდგომარეობს. ამ თვალსაზრისით იურისპრუდენციას და ლინგვისტიკას მეთოდოლოგიურად ეწ. თამაშის თეორია აერთიანებს (მეტყველება – ნიშნებით თამაშია (Витгенштейн, 1985); მართლმსაჯულება და ენა თამაშის ორი სხვადასხვა ფორმაა. იურისპრუდენციისადმი ამგვარი მიდგომის პირობებში ენა გამოყენებითი და პერიფერიული მეცნიერების საზღვრებს შორდება და ფუნდამენტურ იურიდიულ მეცნიერებად გვევლინება.

იურიდიული ფუნქციონირების თვალსაზრისით ენას შემდეგი თავისებურებები ახასიათებს:

- ენა სამართლებრივი რეგულირების ობიექტია: სახელმწიფო ენა, ბიზნესის ენა, ღირსებისა და რეპუტაციის დაცვის ენა (შეურაცხყოფა, ცილისწამება და სხვ.), ტექსტი, როგორც საავტორო უფლების საგანი და ა.შ.;
- ენა, როგორც საკანონმდებლო საქმიანობის საშუალება;
- ენა, როგორც სამართალმიმართებითი საქმიანობის საშუალება და/ან ობიექტი: კანონებისა და სხვა იურიდიული ტექსტების განმარტება, ძიებისა და მართლმსაჯულების ენა (ოქმები, ადვოკატთა გამოსვლები და სხვ.);
- ენა, როგორც იურიდიული მეცნიერების საშუალება.<sup>8</sup>

იურიდიული ენის ფუნქციონირება, პირველ რიგში, ენის მკაფი სემანტიზაციას გულისხმობს. სამართლის ძირითად ფუნქციად იურისლინგვისტები სწორხაზოვნებას და ვალდებულების ფუნქციას მიიჩნევნ. სამართლებრივი ნორმა თავისი ბუნებთ იმპერატიულია. ი.ს. ალექსევა<sup>9</sup> აღნიშნავს: „...იურიდიულ ტექსტს მსგავსება აქვს

<sup>7</sup> ფორმალური ლოგიკა არის მეცნიერება გამონათქვამების გარდაქმნის წესების შესახებ, რომლებიც ინარჩუნებენ თავის მნიშვნელობას, მიუხედავად მათში შემავალი ცნებების შინაარსისა. ფორმალური ლოგიკის, როგორც მეცნიერების ფუმემდებელმა, არისტოტელემ მას „ანალიტიკა“ უწოდა, ხოლო ტერმინი „ლოგიკა“ მისი გარდაცვალების შემდეგ, ძვ.წ. III საუკუნეში დამკვიდრდა. ფორმალური ლოგიკა, განსხვავებით არაფორმალური ლოგიკისგან, ორგანიზებულია, როგორც ფორმალური სისტემა აბსტრაქციის მაღალი დონით და მკაფიოდ განსაზღვრული წესებით. ტრადიციული ლოგიკა ფორმალური ლოგიკის საწყისია, ხოლო მისი განვითარებული ფორმა მათემატიკური ლოგიკაა. ემანუელ კანტის აზრით, ფორმალური ლოგიკა აბსტრაგირებულია ცნებების შინაარსისგან და მხოლოდ მათ ფორმას ეხება. კანტმა ფორმალურ ლოგიკას ტრანსცენდენტული ლოგიკა დაუპირისპირა (Формальная логика, 2023).

<sup>8</sup> ამ შემთხვევაში ენის იურიდიზაციის დონე ყველაზე ნაკლებია, რადგან იურისპრუდენციის ენა სხვა სამეცნიერო ენების თემატურ ნაირსახეობად გვევლინება და, ტერმინოლოგიას თუ არ ჩავთვლით, ხარისხობრივად დიდად არ განსხვავდება, მაგალითად, სოციოლოგიის ან ისტორიის სამეცნიერო ენებისგან.

<sup>9</sup> ირინა ალექსეევა (რუს. Ирина Сергеевна Алексеева) – ცნობილი რუსი მთარგმნელი და თარგმანმცოდნე, პროფესორი, ს.-პეტერბურგის ა.ი. გერცენის სახელობის თარგმანის უმაღლესი

როგორც სამეცნიერო ტექსტთან, ისე ინსტრუქციის ტექსტთან, რადგან ის ასრულებს როგორც შემეცნებით, ისე დანიშნულების ფუნქციებს“ (Алексеева, 2001). ამის მაგალითია ფრაზები: „უზრუნველყოფილი იყოს უსაფრთხოების ზომების დროული ორგანიზება/ensure timely organization of security measures/обеспечить своевременную организацию охранных мероприятий; აღიძრას სისხლის სამართლის საქმე/to initiate criminal proceedings/возбудить уголовное дело и т. სხვ. ამასთან დაკავშირებით ჩ. ფილმორს<sup>10</sup> ცნებათა იურიდიული დიფერენცირების შემდეგი მაგალითი მოჰყავს: „მკვლელობა“ და „გარდაცვალება მძიმე ფიზიკური დაზიანების შედეგად“. თუ სიკვდილი სხეულის დაზიანებიდან 36 საათის განმავლობაში დადგა, საქმე გვაქვს პირველ კატეგორიასთან; თუ 36 საათის გასვლის შემდეგ – მეორე კატეგორიასთან (Филлмор, 1983). ნიშანთა და გარემოებათა კონკრეტიზაციისკენ სწრაფვა მართლმსაჯულების ბუნებრივი მახასიათებელია, იგი მაქსიმალურად ცდილობს სუბიექტურს დასცილდეს და ობიექტურს მიუახლოვდეს. სამართლებრივი ტექსტი არ შეიცავს ემოციურ კომპონენტს, მისი მიზანია ფაქტების მოკლედ და ზედმეტი გადახვევების გარეშე გადმოცემა. ნეიტრალურობა, უპიროვნობა ფაქტებზე კონცენტრირების საშუალებას იძლევა. ფუნქციურ-სემანტიკური ველის სიმკაცრე კანონთა იურისდიქციის სფეროში ბუნებრივი ენის ყველა დონეზე ვლინდება, რასაც მყარი საფუძველი გააჩნია. მხატვრული და იურიდიული ტექსტების შედარებისას აშკარა ხდება, რომ პირველი აზრის გახსნილობისკენ მიიღოვის, მრავალმნიშვნელოვანია, სუბიექტური ინტერპრეტაციის უამრავ შესაძლებლობას იძლევა. მხატვრულ ტექსტში თავად სიტყვის ინტერპრეტაციაც ვარიანტულია, პოლისემანტიკურია და კონტექსტზე, ფონურ ცოდნაზე დამოკიდებული. სამართლის ენა აბსოლუტურად სხვაგვარია.

როგორც წესი, იურიდიულ ტექსტში სამ ნაწილს გამოჰყოფენ: 1) ტერმინები; 2) საყოველთაოდ სახმარი სიტყვები; 3) გრამატიკული კონსტრუქციები. სამართლის ენას სინტაქსური კონსტრუქციების სისრულე და ერთგვაროვნება ახასიათებს. კანონმდებლობის ტრადიციების მიხედვით, ნორმატიული გამონათქვამები ფართოდ გავრცელებული დეკლარაციული წინადადებების სახით ყალიბდება, რომლებიც შეიცავენ უშუალო ან იმპლიციტურ მითითებას საქმის კონკრეტული ვითარების შესახებ. როგორც წესი, ეს ზმნის მოდალობას უკავშირდება და კონკრეტული ფორმით ვიწრო იურიდიულ აზრს გადმოსცემს. ინფორმაციის წარმოდგენის ობიექტურობას ზმნის და აქტიური და პასიური კონსტრუქციების აწყვეტილობის უზრუნველყოფს. აქტივი მუდმივი მოქმედების მნიშვნელობას გადმოსცემს. რაც შეეხება პასივს, ის განცხადებების, მითითებების განზოგადებებისთვის გამოიყენება და მკითხველს მოქმედისგან აბსტრაგირების და მოქმედებაზე ან ფაქტზე ფოკუსირების საშუალებას აძლევს. მაგ., ჩხერეკისას ამოღებული ნივთები/items seized during the search/предметы, изъятые при обыске; მუხლით გათვალისწინებული სსჯელი/punishment under article/наказание, предусмотренное статьей და ა.შ. წინადადებებში ერთი და იმავე მეტყველების ნაწილების და ერთი და იმავე დაქვემდებარებული წევრების გამოყენება რიგითი ადამიანის მიერ იურიდიული ტექსტის აღქმას ართულებს. თუმცა ტექსტის მასების მიერ აღქმაზე ორიენტირება სასურველ შედეგს არ იძლევა. ფ. სოსიურის სიტყვებით:

სკოლის დირექტორი. სამეცნიერო ინტერესების სფერო: თარგმანის თეორია, თარგმანის სწავლების მეთოდიკა, შედარებითი სტილისტიკა, ტექსტის ინტერპრეტაცია, ტექსტის თეორია.

<sup>10</sup> ჩარლზ ჯ. ფილმორი (ინგ. Charles J. Fillmore; 1929-2014) – ამერიკელი ენათმეცნიერი; ბერკლის უნივერსიტეტის ემერიტუს პროფესორი. კოგნიტური ლინგვისტიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი. პოლ კეისთან და ჯორჯ ლაკოფთან ერთად წამოაყენა კონსტრუქციების გრამატიკის თეორია. მუშაობდა FrameNet პროექტზე (ინგლისური ენის ლექსიკური შემადგენლობის ონლაინ აღწერა ფრეიმების მიხედვით).

„ცნების სისტემიდან გამოყოფა წარმოშობს ცრუ მოსაზრებას, რომ შესაძლებელია ენობრივი ელემენტებით დაწყება და მათი ჯამიდან სისტემის აგება, მაშინ როცა, სინამდვილეში, აუცილებელია ანალიზი მთლიანიდან დაიწყოს და შემდეგ გადავიდეს მასში არსებულ ელემენტებზე“ (Соссюრ, 2022). „სოციალური ჰარმონიის“ მიღწევის მიზნით იურიდიული ენის გამარტივების სტრატეგიას თავისი საზღვრები გააჩნია და უფრო მეორეხარისხოვან, დამატებით საკითხებს განეკუთვნება. რაც შეეხება საზოგადოდ გავრცელებული სიტყვების იურიდიზაციას, აქ უფრო ხშირად საქმე გვაქვს არა სიტყვის ტერმინად გადაქცევასთან, არამედ გრამატიკულ სახეცვლილებასთან. ეს სტილი აუცილებელია ორაზროვანი ინტერპრეტაციების გამორიცხვისთვის. იურიდიული ინტერპრეტაციის ძირითადი პრეზუმაციის ფორმულა: „ინტერპრეტაციათა კონფლიქტს ხელისუფლება წყვეტს“ (Александров, 2000). სწორედ კანონის იურისდიქციის ზონაში ხორციელდება ენის იურიდიული ფუნქციონირება. კანონი, რომელიც თავისთვად კანონმდებლის ნების გამომხატველია, ოფიციალურად მხოლოდ ამ უკანასკნელის მიერ განიმარტება (ამირეჯიბი, ხატიაშვილი, 2015). თუმცა, იურიდიული ენა სრულად მაინც ვერ მოიცავს რეალიების მთელ სპექტრს, რაც სუბიექტურობის მიზეზი ხდება. აქედან გამომდინარე, იურიდიული ენის აზრობრივი სიმკაცრე არ არის აბსოლუტური, დაუინება შინაგანი კონფლიქტის მაპროვოცირებელია.

იურიდიული ენის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით ორი განსხვავებული თვალსაზრისი არსებობს:

1. კანონის ტექსტი კონკრეტული ეთნოსის სალიტერატურო ენაზე იქმნება, იგი გასაგები უნდა იყოს ამ ენის ყველა მატარებლისთვის; კანონმორჩილება კანონის გაგებას გულისხმობს, რაც საკანონმდებლო ტექნიკის წინაშე განსაზღვრულ მოთხოვნებს აყენებს.
2. კანონების შედგენა და განმარტება შესაბამისი განათლების მქონე სპეციალისტებმა უნდა განახორციელონ.

იურისლინგვისტიკის პრობლემათა დიაპაზონი კანონის ტექსტის ინტერპრეტაციას მოიცავს. ამ მხრივ, უნდა განვასხვავოთ სამართლებრივი და საკანონმდებლო ტექნიკა.<sup>11</sup> აქ მნიშვნელოვანია ტერმინოლოგიასთან<sup>12</sup> დაკავშირებული საკითხები, რადგან იურისლინგვისტიკის პოზიციებიდან, სპეციალიზებული ენის სალაპარაკო ენაზე „თარგმნა“ მისაღებ შედეგს არ იძლევა, ფალსიფიცირდება. იურიდიული ტერმინი შემდეგნაირად განიმარტება: „სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი ცნებების სიტყვიერი აღნიშვნები, რომელთა დახმარებით გამოხატულია და დაფიქსირებულია სახელმწიფოს სამართლებრივი რეგულაციების შინაარსი“ (Милославская, 2023). ხშირად იურიდიული ტერმინი და ყოველდღიურ მეტყველებაში გავრცელებული იგივე სიტყვა შინაარსობრივად ერთმანეთს არ ემთხვევა, რაც ენის რიგით მატარებლებს

<sup>11</sup> სამართლებრივი ტექნიკა საფუძვლად უდევს კანონის ტექსტის წაკითხვის ხელოვნებას. საკანონმდებლო ტექნიკა არის კანონის დაწერის ტექნიკა (Cotterill, 2002).

<sup>12</sup> იურიდიული ტერმინოლოგია შესწავლის უნიკალური ობიექტია, რადგან სხვა ტერმინოლოგიურ სისტემებთან შედარებით იგი გამოყენების ფართო სპექტრით ხასიათდება. იურისტების და ლინგვისტების დიდი ნაწილის მოსაზრებით სამართლებრივი ტერმინი უნდა იყოს: 1. ერთიანი, ანუ გამოყენებული კონკრეტულ კანონში და სხვა მარეგულირებელ აქტში ერთი და იმავე მნიშვნელობით, იყოს ცალსახა და ერთმნიშვნელოვანი ერთი სისტემის ფარგლებში; 2. საყოველთაოდ აღიარებული და არა მხოლოდ კონკრეტული შემთხვევისთვის კანონმდებლის მიერ გამოგონილი. დაუშვებელია ტერმინის რაიმე განსაკუთრებული გაგებით გამოყენება; 3. სტაბილური, ანუ ტერმინის მნიშვნელობა და არსი არ უნდა შეიცვალოს კონტექსტიდან გამომდინარე; 4. ლოგიკურად დაკავშირებული სისტემის სხვა ტერმინებთან; 5. დაკავშირებული გამოყენების პროფესიულ სფეროსთან (ხატიაშვილი, ამირეჯიბი, 2014).

ტექსტის გაგებას უძნელებს. რიგითი მოქალაქისთვის, რომელსაც იურისპრუდენციასთან კავშირი არ აქვს, იურიდიული ენა მძიმე, სიტყვაჭარბი და, შესაბამისად, რთულად გასაგებია. ამ პირობებში წარმოიქმნება აღქმის ილუზია. ასეთ შემთხვევებში საუბარია მიახლოებულ გაგებაზე, რაც იურისლინგვისტიკის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემაა. მაგ., სიტყვების ლტოლვილი/беженец/refugee, უმუშევარი/ნერაბოთნია/unemployed, მოხალისე/доброволец/volunteer, საბაზო/таможня/customs, და ა.შ. ურთიერთმიმართება, როგორც ყოველდღიური სამეტყველო ერთეულების და როგორც იურიდიული ტერმინების. როგორც სასაუბრო ენის ერთეულებს, ამ სიტყვებს უფრო ფართო განმარტება აქვთ, ვიდრე იმავე ასობგერით კომპლექსებს სამართლებრივი ტერმინების დატვირთვით.

ენის იურიდიული ფუნქციონირება სპეციფიკურია. ბევრ სხვა თავისებურებასთან ერთად, მას კონფლიქტურობა, ანუ ექსტრემალურობა ახასიათებს და კონფლიქტური სიტუაციების წარმოქმნის დანიშნულებაც აქვს, ეწ. **ენის თავდასხმითი ფუნქცია**. ზოგადად კომუნიკაციური აქტი (Орлова, 2002) პოტენციურად კონფლიქტის შემცველია: ნებისმიერი გამონათქვამი შეიძლება ბოლომდე გასაგები არ იყოს, ან ისე არ იყოს გაგებული, როგორც ეს ადრესანტს სურს; ნებისმიერი გამონათქვამი შეიძლება ორაზროვან შინაარსს ატარებდეს. აქედან გამომდინარე, გარკვეულ პირობებში ნებისმიერ სამეტყველო აქტს შეიძლება სასამართლო გარჩევა მოჰყვეს. ყველა ენაში არსებობს გარკვეული ლექსიკური ერთეულები, ფრაზეოლოგია, ინტონაცია, რომლებიც სწორედ კონფლიქტის წარმოქმნისკენაა მიმართული. კონფლიქტოგენურია თავად იურიდიული ტექსტები. ბევრი მათგანი, ენობრივი სიზუსტისა და ლოგიკური გამართულობის მიუხედავად, შეიძლება სხვადასხვაგვარად განიმარტოს, რაც სასამართლო დავის საგანი ხდება. დემოკრატიის პირობებში სამართლებრივ სფეროში ჩართულ მოთამაშეთა რიცხვი გაცილებით მეტია, ვიდრე ტოტალიტარული რეჟიმების სინამდვილეში. მაგალითად, დემოკრატიული ქვეყნის მოქალაქეს გააჩნია სიტყვის, რელიგიური მრწამსისა და სინდისის თავისუფლება. ეჭვგარეშეა, რომ ეს ყოველივე XX საუკუნის ბოლოსა და XXI საუკუნის დიდი მონაპოვარია. მაგრამ, ამასთან, ნეგატიური მოვლენების და საზოგადოებრივი ცხოვრების ფაქტების შესახებ საინფორმაციო საშუალებებით (მაგ., მასმედიით) გავრცელებული ინფორმაცია ზოგ შემთხვევაში (როდესაც საქმე კონკრეტულ პირებს ეხება), შესაძლოა, სასამართლო განხილვის მიზეზი გახდეს, როგორც შეურაცხყოფის დელიქტი<sup>13</sup> ან დიფამაციის<sup>14</sup> ფაქტი. დიფამაციასა და

<sup>13</sup> დელიქტი (ლათ. *delictum „გადაცდენა, დანაშაული“*) – გადაცდომა, კერძო ან სამოქალაქო სამართლის (ლათ. *delictum privatum*); დანაშაული, რომელიც გულისხმობს ზიანის საზღაურს დაზიანებული/დაზარალებული პირების სასარგებლოდ კერძო სამართლის მიხედვით. სამოქალაქო სამართალში დელიქტი არის ნებისმიერი მართლსაწინააღმდეგო ქმედება (იქნება ეს დანაშაული, სამართალდარღვევა თუ ქონებრივი ზიანი), შეჭრა პირის პირად ან ქონებრივ სივრცეში და ზიანის მიუყება (განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი, 2023).

<sup>14</sup> დიფამაცია (ლათ. *diffamo „სახელს ვუტეხ“*) – ვისიმე სახელის გამტეხი ცნობების (ნამდვილისა თუ მოგონილის) გამოქვეყნება. იურისპრუდენციაში დიფამაციად მხოლოდ ფაქტობრივი ხასიათის სახელის გამტეხი ცნობების გავრცელება ითვლება. ტერმინის „დიფამაცია“ იურიდიული შინაარსი განსხვავდება აღნიშნული სიტყვის ზოგადი ლექსიკური მნიშვნელობისგან. დიფამაცია ცნობის შინაარსობრივ მხარესთან (ინვენციასთან) არის დაკავშირებული. დიფამაციის არსებობისთვის აუცილებელია მითითება პირის წარსულ ან მიმდინარე საქმიანობის კონკრეტულ დასამრახ ფაქტებზე. ლინგვისტური ექსპერტიზის ჩატარებისას დიფამაციის (ცილისწამების) არსებობის მტკიცება მოსაზრებისა და ცოდნის ცნებების ურთიერთგამიჯვნას გულისხმობს. დიფამაციის კონტექსტში ბანალური ჭორის დაყრა იგულისხმება, რომელშიც შესაძლოა, ცილისწამებისგან განსხვავებით, სიმართლის გარკვეული დოზაც ერიოს. ეს მოვლენა აზრის გამოხატვის

შეურაცხყოფას<sup>15</sup> შეიძლება შეიცავდეს როგორც ტექსტის სხვადასხვა ფრაგმენტი, ისე მისი ერთი მონაკვეთი. ასეთ შემთხვევაში კვლევის ობიექტი პუბლიცისტური ტექსტია. დიფამაცია არის დამალული და ვიღაცისთვის სასირცხვილო ფაქტების გახმაურება მხოლოდ მედიაში, მაშინ, როგორც ცილისწამება შეიძლება განხორციელდეს როგორც მედიის, ისე ვერბალური საშუალებით, სიტყვებით, ან წერილობითი ფორმით. ამასთან დაკავშირებით პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვის თვალსაზრისით გაჩნდა მოთხოვნა პუბლიცისტური ტექსტების ლინგვისტურ ექსპერტიზაზე.<sup>16</sup> ლინგვისტური ექსპერტიზა ობიექტის შესახებ აღწერილობითი განცხადებების სიმართლის/სიცრუის, შესაძლებლობა/შეუძლებლობის დადგენის საშუალებას იძლევა. პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვისკენ მიმართულმა ტექსტების ლინგვისტურმა ექსპერტიზამ პასუხი უნდა გასცეს შემდეგ ჰერმენევტიკულ და კლასიფიკაციურ კითხვებს: შეიცავს თუ არა ტექსტი პიროვნების სახელის გამტებ მსჯელობებს, გამოხატულია თუ არა პიროვნების შეურაცხმყოფელი ვერბალური ერთეულები უწესო (საზოგადოებისთვის მიუღებელი) ფორმით. ლინგვისტური ექსპერტიზის დროს ყველაზე რთული ჰერმენევტიკული ხასიათის ამოცანების გადაჭრა. მათი ადეკვატურად გადაწყვეტისას ჯ. ოსტინის<sup>17</sup> მიერ შემუშავებული სამუშაველო აქტების თეორია უნდა მოვიშველიოთ. ამ შემთხვევაში საკმაოდ ბუნდოვანია და, პრინციპში, სუბიექტურია, ცალკეულ პიროვნებებზეა

კომუნიკაციურ კონვენციას ეწინააღმდეგება და, პირველ რიგში, ელოკუციასთანაა (ზოგადი რიტორიკის კანონი) კავშირში (განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი, 2023).

<sup>15</sup> იურიდიული ტერმინის შეურაცხყოფა შინაარსის ანალიზმა გამოამჟღავნა განსხვავება ამ სიტყვის ტერმინოლოგიურ და ყოველდღიურ გამოყენებას შორის. ლექსემა „შეურაცხყოფის მიყენება“ და მისი დერივატები (შეურაცხმყოფელი, სახელის გამტები) ენაში სიტუაციათა გაცილებით მეტ შემთხვევაში გამოიყენება, ვიდრე ამას ტერმინი „შეურაცხყოფა“ ითვალისწინებს. იურიდიულად ტერმინს შემდეგი განმარტება აქვს: „პირის პატივისა და ღირსების შელახვა, გამოხატული უწესო ფორმით“ (Базылев, Бельчиков, Леонтьев, Сорокин, 1997).

<sup>16</sup> ლინგვისტური ექსპერტიზა არის მეტყველების აქტივობის პროდუქტების შესწავლა, რომელიც მიზნად ისახავს მნიშვნელოვანი ფაქტების დადგენას და დასმულ კითხვებზე პასუხების გაცემას. ლინგვისტური ექსპერტიზის წარმოება ლინგვისტურ თეორიებსა და ლინგვისტიკაში შემუშავებულ მეთოდებს ეფუძნება. ლინგვისტური ექსპერტიზის ობიექტს წარმოადგენს მეტყველების აქტივობის პროდუქტები: განცხადებები, ტექსტები, ლექსემები, სასაქონლო ნიშნების სიტყვიერი აღნიშვნები და ა.შ. ლინგვისტური ექსპერტიზის პრაქტიკული საჭიროება ყველაზე ხშირად სასამართლო განხილვის, გადაწყვეტილების მიღების, სამართლებრივი ფაქტების დადგენის დროს დგება. უმეტეს შემთხვევაში ცნებები „ლინგვისტური ექსპერტიზა“ და „სასამართლო ლინგვისტური ექსპერტიზა“ იდენტურია (Баранов, 2007).

<sup>17</sup> ჯონ ლენგშოუ ოსტინი (ინგ. John Langshaw Austin; 1911–1960) – ბრიტანელი ენის ფილოსოფიისი, ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი, ბრიტანეთის აკადემიის წევრი. სამეტყველო აქტის თეორიის განმავითარებელი. ოსტინის ფილოსოფიური კონცეფცია ემყარება აზრს, რომ ფილოსოფიური კვლევის მთავარი მიზანი ჩვეულებრივი ენის გამონათქვამების განმარტებაა. ოსტინი თვლის, რომ ენა არა მხოლოდ აღწერს რეალობას, არამედ გავლენას ახდენს მასზე პერფორმატიული განცხადებების საშუალებით, როგორებიცაა დაპირება, გაფრთხილება ან ბრძანება. ერთიანი სამეტყველო აქტი ოსტინის წარმოდგენაში სამდონიანია: ლოკუციური აქტი (ინგ. “locution”, „გამონათქვამი“) – სამეტყველო აქტი მის მსვლელობაში გამოყენებულ ენობრივ საშუალებებთან მიმართებაში; სემანტიკის საგანია. ილოკუციური აქტი (ლათ. *il- < in*, „შიგნით“) – სამეტყველო აქტი დასახულ მიზანთან და მთელ რიგ პირობებთან (კითხვა, პასუხი, ინფორმაცია, გარანტია, გაფრთხილება, დანიშნულება, კრიტიკა) მიმართებაში; პრაგმატიზმის საგანია. წარმოადგენს პერფორმატიულ განცხადებას მომხსენებლის შესახებ. პერლოკუციური აქტი (ლათ. *per-*, „საშუალებით“) – სამეტყველო აქტი მის შედეგებთან მიმართებაში. რიტორიკის საგანია. წარმოადგენს მსმენელისკენ მიმართულ პერფორმატიულ განცხადებას.

დამოკიდებული, ჩაითვლება თუ არა კონკრეტული სიტყვა/ფრაზა შეურაცხყოფად, უწესობად. ადამიანები სხვადასხვაგვარად რეაგირებენ მათი მისამართით ნათქვამზე. კომუნიკაციური სიტუაციის, როგორც შეურაცხყოფელის, აღქმა, მთლიანად რეციპიენტზე (ადრესატზე) დამოკიდებული. სიტყვიერ დონეზე მოსაუბრის სემანტიკური და პრაგმატული პრესუპოზიციის დასადგენად ლოგიკურ მეთოდებთან ერთად, გამოიყენება ლექსიკური სემანტიკის (კომპონენტური) ანალიზიც, რაც ამარტივებს და მეტად მკაფიოს ხდის კონკრეტულ კონტექსტს. სამეტყველო აქტის შეურაცხყოფად კვალიფიცირებისთვის აუცილებელია შემდეგი პირობების არსებობა: კონკრეტული ადამიანისთვის უარყოფითი თვისების მიწერა და ამ უარყოფითი თვისების უხამსი, უწესო ფორმით გამოხატვა. თავად ცნება „უხამსი ფორმა“ რთულად განსასაზღვრია, რადგან დიდწილად „ეპოქის ენობრივ გემოვნებაზე“ დამოკიდებული (Костомаров, 1999). სამეტყველო აქტის შეურაცხყოფად აღიარება კონკრეტული პირისკენ მიმართული ნეგატიური შეფასების მატარებელი ლექსიკის გამოყენების დადასტურებაა. იურიდიული კუთხით ადრესატზე მიმართული ტექსტი შეურაცხყოფის აუცილებელი პირობაა. შეურაცხყოფის ფაქტის დამტკიცება მოსაუბრის შესაბამისი ინტენციის დამტკიცებას გულისხმობს. შეურაცხყოფა ადრესატის გარკვეულ ფსიქო-ემოციურ მდგომარეობაში ჩაგდებას ითვალისწინებს, რომელსაც პერლოკუციური ეფექტი (ანუ მსმენელის ფსიქიკაზე ზემოქმედების აქტი) იწვევს. სიტყვათა ამ კატეგორიას განეკუთვნებიან იდიომები, ფაუნის მეტაფორები (მაგ., ზოონიმები ღორი, საქონელი, ვირთხა და სხვ.), უწმაწური სემების შემცველი ნეოლოგიზმები (მაგ., რუსული *деревомократ*), ადრესატის მოხსენება II პირის ნაცვალსახელით, I და II პირების ზმნური ფორმებით. სხვა სახის ლექსემები. ენის ნორმების სტიქიური დაცვა (ორთოეპია, სტილისტიკა, ეთიკა და ა.შ.) კონფლიქტის თავიდან აცილების საშუალებას იძლევა; სხვაგვარად რომ ვთქვათ, თავად ენას გააჩნია კომუნიკაციური კონფლიქტის გადალახვის მექანიზმები, ანუ კონფლიქტის სოციალურად დარეგულირების სამუალებები, რაც კანონმდებლობაშიც აისახება.

იურიდიული ლინგვისტიკა განსაკუთრებულ ყურადღებას თარგმანის საკითხებს უთმობს, რადგან თარგმანი წარმოადგენს ხიდს ორ ენას და ორ კულტურას, ორ სოციალურ სფეროს შორის. იურიდიული თარგმანი არის თარგმანის დარგი, რომელიც სამართლის სფეროსთან დაკავშირებული ტექსტებით და დოკუმენტებით ოპერირებს. იურიდიული თარგმანის ადეკვატურობისა და ეკვივალენტობის პრობლემას აყენებენ როგორც მთარგმნელები, ისე მეცნიერები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან სამართლის ენის, როგორც სპეციალური დანიშნულების ენის, ლინგვოდიდაქტიკური ასპექტებით. ამოსავალ ენაზე დაწერილი იურიდიული ტექსტი თითქოს მეორე დიალექტიკურ მნიშვნელობას იძენს თარგმანში, რაც გამოწვეულია სტანდარტიზებული საკითხებით და ზუსტი ფორმულირებით (Особенности юридического перевода, 2023). იურიდიული ტექსტების თარგმნის მთავარი ამოცანაა: თარგმანი არ განსხვავდებოდეს ორიგინალისგან. მიმღები ენის მატარებელი, რომელიც კითხულობს ნათარგმნ ტექსტს, მას უნდა აღიქვამდეს, როგორც იმთავითვე ამ ენაზე დაწერილს.

სამართლებრივი ტექსტის თარგმნის სტრატეგია ტექსტის ქვეჯანრზეა დამოკიდებული. შეიძლება გამოყენებულ იქნეს თარგმნის ყველა ძირითადი სტრატეგია და ქვესტრატეგია: სიტყვასიტყვითი/ზუკვალური თარგმანი (ტრანსლიტერაცია, ტრანსკრიფცია, კალკირება, სემანტიკური ნეოლოგიზმი); ფუნქციური/პრაგმატული შესატყვისი (ეკვივალენტი, ფუნქციური ანალოგი, აღწერითი თარგმანი, მნიშვნელობის დიფერენციაცია, კონკრეტიზაცია, გენერალიზაცია, კონტექსტუალური თარგმანი, სინონიმური თარგმანი, ანტონიმიური თარგმანი, კომპენსაცია). თარგმნის პროცესზე გავლენას ახდენს ტექსტის იურიდიზაციის ხასისხი, ანუ ის, თუ რამდენად დატვირთულია ტექსტი სამართლებრივი ლექსიკით, ასევე, სათარგმნი ტექსტის

კატეგორია, ტიპი: ხელშეკრულებები, წესდებები, კანონები, ბრძანებები, სასამართლო გადაწყვეტილებები, ჩვენებები, ექსპერტიზა, სარჩელი, განცხადებები, ადმინისტრაციული ტექსტები (საუწყებო მიმოწერა), საგანმანათლებლო ლიტერატურა და ა.შ.

იურიდიული დოკუმენტების ტიპებიდან გამომდინარე, იურიდიული თარგმანის ქვესახეობებია:

- კანონების და დებულებების (ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების) და მათი პროექტების თარგმანი;

- ხელშეკრულებების (კონტრაქტების) თარგმანი;
- სამართლებრივი გადაწყვეტილებების და მემორანდუმების თარგმანი;
- აპოსტილების და სანოტარო მოწმობების თარგმანი;
- იურიდიული პირების დამფუძნებელი დოკუმენტების თარგმანი;
- მინდობილობების თარგმანი (Киндеркнექტ, 2015).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამართალი მჭიდროდ არის დაკავშირებული კონკრეტული სახელმწიფოს სოციალურ-პოლიტიკურ და კულტურულ მახასიათებლებთან. ამიტომ, ასეთი დოკუმენტების თარგმნა რთული საქმეა: მთარგმნელმა არა მხოლოდ შინაარსი უნდა გადმოსცეს ზუსტად, არამედ დაიცვას კონკრეტული სამართლებრივი ფორმულირებების, კლიშეების და ტერმინების მნიშვნელობა. როგორც მ. მუშჩინინა აღნიშნავს: „მთარგმნელობითი სირთულეები უფრო ხშირად წარმოიქმნება, თუ სათარგმნი ტექსტი მიეკუთვნება სფეროს, რომელშიც მეტად გამოხატულია სამართლებრივი სისტემის ეროვნული და რეგიონალური მახასიათებლები (მაგ., საპროცესო სამართალი, საჯარო სამართალი, ადმინისტრაციული მოწყობა). და პირიქით, საერთაშორისო გაცვლასა და თანამშრომლობაზე დაფუძნებული სამართლებრივი ტექსტები უფრო ადვილად ითარგმნება (მაგ., სავაჭრო სამართალი, საბანკო სამართალი, მომხმარებელთა უფლებების დაცვა). ეს უკანასკნელი ასევე შეიძლება ითქვას სამართლის გარკვეულ სფეროებზე, რომლებიც თანაბრად ვითარდება და თვალსაჩინოა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაახლოებით ერთ დონეზე მყოფ სახელმწიფოებში (მაგ., გარემოსდაცვითი სამართალი)“ (Мущинина, 2004).

იურიდიული მასალის მთარგმნელს სჭირდება არა მხოლოდ უცხო ენის კარგად ფლობა, არამედ იურისპრუდენციის ცოდნა. ტექსტის ზუსტი გადატანისთვის მთარგმნელი გარკვეული უნდა იყოს როგორც ამოსავალი, ისე სათარგმნი ენის სამართლებრივ სისტემაში. მთარგმნელის, როგორც ლინგვისტური, ისე იურიდიული, განსაკუთრებული ცოდნის ნაკლებობის შემთხვევაში ადგილი აქვს ე.წ. „მთარგმნელობით წუნს“, კერძოდ: მნიშვნელოვანი ინფორმაციის გამოტოვებას, ტერმინების და ოფიციალური/სამართლებრივი/ბიზნეს ლექსიკის ჩანაცვლებას ყოველდღიური სიტყვებით, სიტყვების თანმიმდევრობის შეცვლას ან ერთი განმაზოგადებელი ტერმინით ჩანაცვლებას, თავისუფალ თარგმანს, სიტყვების ტრანსკრიფცია/ტრანსლიტერაციის ბოროტად გამოყენებას, როდესაც სამიზნე ენაში არსებობს ეკვივალენტები, ენობრივი ტაბუების დარღვევას ევფერიზმების<sup>18</sup> არცოდნის

<sup>18</sup> ევფერიზმი (ბერძ. ოსფრ'ოთ „კართლხმოვნება“ ← ბერძ. ენ „კარგი“ + ფრმთ „მეტყველება, საუბარი“) – სიტყვა ან აღწერითი გამონათქვამი, რომელიც ნეიტრალურია მნიშვნელობით და ემოციური დატვირთვით. ჩვეულებრივ გამოიყენება ტექსტებსა და საჯარო განცხადებებში უხამსი ან უადგილო სიტყვების და გამოთქმების ნაცვლად. პოლიტიკაში ევფერიზმებს ხშირად იყენებენ გარკვეული სიტყვების და გამოთქმების შესარბილებლად, ასევე საზოგადოების შეცდომაში შეყვანისა და რეალობის გაყალბების მიზნით. ოფიციალურ დოკუმენტებში, მედიაში ხშირად გამოიყენება ევფერიზმები, რომლებიც გზავნილის ემიციურ ელფერს ცვლიან. მაგ., „ზანგი“ (ამერიკელი) → „აფროამერიკელი“, „ინვალიდი“ → „შშმ პირი“ და სხვ.

გამო და ა.შ. იურიდიულ თარგმანში შეცდომებს შორსმიმავალი შედეგები აქვს, ამიტომ გაწაფულ მთარგმნელს ამ საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. მეორე მხრივ, უცხო ენის მცოდნე იურისტმა, რომელსაც არ გააჩნია გარკვეული მთარგმნელობითი ცოდნა და პრაქტიკა, ნაკლებად სავარაუდოა, ხარისხიანად შეასრულოს სამუშაო. მოვიყუან კონკრეტულ მაგალითებს. საყოველთაოდ მიღებული კლიშეები: *იღებს კანონის ძალას/ძალაში შედის/come into force/вступать в законную силу; გასაჩივრებას არ უქმდებარება/not subject to appeal/обжалованию не подлежит; დადგენილი წესით/according to established order/в установленном порядке და სხვ. ტერმინები: ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული/determined by this contract/определенное настоящим договором; მყიდველი ვალდებულია გადახადოს/the buyer is obliged to pay/покупатель обязуется оплатить და სხვ.*

განსხვავებებმა პოლიტიკურ სისტემებში, განვითარების სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებში, ქვეყნების კულტურულ ტრადიციებში განაპირობა ის, რომ სხვადასხვა სახელმწიფოში სხვადასხვა სახის ეროვნული სამართლებრივი სისტემები ჩამოყალიბდა. მაგ., განსხვავდება სამართლის კონტინენტური (რომანულ-გერმანული) სისტემა, რომელსაც მიეკუთვნება საქართველო, რუსეთი და კონტინენტური ევროპის უმეტესი ნაწილი და ანგლო-საქსური სამართლებრივი სისტემა, რომელიც გავრცელებულია დიდ ბრიტანეთში, აშშ-სა და ინდოეთში. რომანულ-გერმანულ სისტემაში სამართლის წყარო არის კანონი, ხოლო ანგლო-საქსურ სისტემაში – პრეცედენტი. კონტინენტურ სამართალს ახასიათებს კანონების კოდიფიკაცია. იგი განასხვავებს კერძო და საჯარო სამართალს, რომელიც არ არის დამახასიათებელი ანგლო-საქსური სისტემისთვის.

განსხვავებები სამართლებრივ სისტემებში გავლენას ახდენს თარგმანზე. ხდება ისე, რომ სამართლის ერთი სისტემის ტერმინი არ არის წარმოდგენილი სხვა სისტემაში. მაგ., ქართულ, ან რუსულ სამართლებრივ ენაზე სასამართლოში დაცვის მხარეს წარმოადგენს ადვოკატი,<sup>19</sup> ხოლო ინგლისურ სამართლებრივ ენაზე ტერმინი „ადვოკატი“ გადადის არა მხოლოდ როგორც *laywer* (იურისტი), არამედ როგორც *barrister* (ბარისტერი),<sup>20</sup> *solicitor*

<sup>19</sup> ადვოკატი (ლათ. *advocatus* > *advooco* „ვიხმობ“) – პირი, რომლის პროფესიაა იურიდიული დახმარება გაუწიოს მოქალაქეს ან სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ ორგანიზაცია-დაწესებულებას. პირველი ადვოკატები ძველ რომში გაჩნდნენ. დიდი ხნის განმავლობაში ადვოკატის ფუნქციას ორატორები ასრულებდნენ, რომლებიც ხშირად სამართლის ექსპერტები არ იყვნენ. ციცერონი აკრიტიკებდა იურისტებს, რომლებიც ცუდად იყვნენ გათვითცნობიერებულნი იურიდიულ საკითხებში. ძველი რომის რესპუბლიკური პერიოდის ადვოკატობა თავისუფალი პროფესია იყო და არ გააჩნდა კორპორატიული სტრუქტურა. სასამართლოში პროფესიონალ დამცველთა კორპორაცია ჩამოყალიბდა რომში, იმპერიის ეპოქაში. ადვოკატ-დამცველთა დოკუმენტირებული კოლეგია დაარსდა შემდგომში ფართოდ გავრცელებული პრინციპების საფუძველზე. ადვოკატირების სტრუქტურა, რომელიც იმპერიის ეპოქაში განვითარდა, კლასიკური იყო. იგი გახდა ადვოკატის პროფესიის ყველა შემდგომი მოდიფიკაციის საფუძველი, თანამედროვეობის ჩათვლით. ამჟამად ადვოკატი სასამართლო პროცესის მონაწილეა და დამოუკიდებელი საპროცესო უფლებები აქვს.

<sup>20</sup> ბარისტერი – ადვოკატთა კატეგორია დიდ ბრიტანეთსა და თანამეგობრობის ქვეყნებში. აწარმოებს საქმეებს. დიდ ბრიტანეთში ბარისტერები უფრო მაღალი რანგის ადვოკატები არიან, ვიდრე სოლისიტორები. ადვოკატთა სხვადასხვა კატეგორიის არსებობა ისტორიული მიზეზებითაა განპირობებული: ინგლისის სასამართლო სისტემის კონსერვატიულობით, ანგლო-საქსური სამართლის სისტემის ქვეყნებში სასამართლოს წარმოების სირთულით (სასამართლო პრეცედენტების დიდი რაოდენობის არსებობით და სამართლებრივი აქტების მკაცრი სისტემის არარსებობით), ასევე, ბარისტერების მხრიდან პრივილეგირებული მდგომარეობის და მასთან დაკავშირებული მატერიალური სარგებლის დაკარგვის საფრთხით. დიდ ბრიტანეთში დაახლოებით 15000 ბარისტერია (აქედან 70% ლონდონში მსახურობს). ბარისტერები

(სოლისიტორი),<sup>21</sup> *attorney/attorney-at-law* (ეთორნი)<sup>22</sup> – კონტექსტიდან გამომდინარე. დახვეწილი, მხატვრული ენა სინონიმების გამოყენებას გულისხმობს და არა ტავტოლოგიას. იურისპრუდენციაში ამის გაკეთება დაუშვებელია: ის სწორედ ტავტოლოგიურ კოჰეზიაზე<sup>23</sup> აგებული, რაც ტექსტს კრავს და ერთ მთლიანობად აქცევს. რაც სხვებისთვის სინონიმია, იურისტისთვის სამართლებრივი სიზუსტის დავარგვაა. მაგ., არ შეიძლება ტერმინების ხელშეკრულება/contract/ძიგით და შეთანხმება/agreement/соглашение, სინონიმების ფუნქციით გამოყენება. ეს ორი სხვადასხვა სამართლებრივი ცნებაა. იურისტმა, რომელიც თარგმნილ დოკუმენტში წაიკითხავს როგორც „ხელშეკრულებას“, ისე „შეთანხმებას“, შეიძლება იფიქროს, რომ მისთვის უცნობი შეთანხმება შეიძლება დაერთოს თავდაპირველ ხელშეკრულებას, რეალურად კი ასე არ იყოს. ამიტომ თუ წინადადებაში ერთი სიტყვა ათჯერ მეორდება, ის თარგმანშიც ათჯერ უნდა განმეორდეს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, იურიდიული დოკუმენტების ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია ტერმინების სიმრავლე. იურიდიული ტექსტის უმეტესი ნაწილი სპეციალიზებული ლექსიკისგან შედგება. მიუხედავად იმისა, რომ ბევრ სიტყვას და შესიტყვებას სხვა ენებზე მკაფიოდ განსაზღვრული სამართლებრივი შესატყვისები აქვს, იმისათვის, რომ სამიზნე ენაში ტერმინის შესაბამისობა დადგინდეს, მთარგმნელს ზოგჯერ მთელი კვლევის ჩატარება უწევს. ხშირად, ერთი ქართულენოვანი ან რუსულენოვანი ტერმინისთვის ინგლისურში რამდენიმე ერთი შეხედვით სინონიმური ტერმინი იძებნება და პირიქით. სინამდვილეში, იურიდიული თარგმანისთვის, რომელიც ვერ იტანს მნიშვნელობის ოდნავ შეცვლასაც კი, ყველა სინონიმი შესაფერისი არ არის. ზუსტი თარგმნისთვის ყურადღება კონტექსტზე უნდა გამახვილდეს. მაგ., ტერმინი *cross-claim* ზოგიერთ ლექსიკონში წარმოდგენილია როგორც ჯვარედინი სარჩელი/перекрестный иск. სინამდვილეში სწორი თარგმანია შეგებებული სარჩელი/встречный иск.<sup>24</sup> ხშირად შეუძლებელია ტერმინის ზუსტად გადატანა კომენტარის გარეშე. მაგ., ტერმინი *plea agreement*, რომელიც აშშ-ის იურისპრუდენციაში გამოიყენება, ერთი შეხედვით უნდა ითარგმნოს როგორც გარიგების შეთანხმება/соглашение о сделке. თუმცა, სრული მნიშვნელობით, ეს არის საპროცესო

---

გაერთიანებულები არიან ოთხიდან ერთ-ერთ იურიდიულ კორპორაციაში ან პალატაში – Lincoln's Inn, Grey's Inn, Middle Temple, Inner Temple.

<sup>21</sup> სოლისიტორი – ადვოკატთა კატეგორია დიდ ბრიტანეთში. ამზადებენ სასამართლო მასალებს ბარისტერებისთვის. სოლისიტორები ასევე მსახურობენ იურისკონსულტებად სხვადასხვა ორგანიზაციაში და აქვთ ქვედა ინსტანციის სასამართლოებში (საგრაფოების და მაგისტრი ქალაქების სასამართლოები) საქმის წარმოების და სიტყვით გამოსვლის უფლება.

<sup>22</sup> ეთორნი (ქართ. „რწმუნებული“; რუს. «проверенныи») – XIX საუკუნის ბოლომდე ინგლისის საერთო სასამართლოების საქმეთა რწმუნებული; ადვოკატი, რომელიც ამზადებდა საქმეებს განხილვისთვის, ადგენდა და წარადგენდა ყველა საჭირო დოკუმენტს, მაგრამ არ გამოდიოდა საჯაროდ სასამართლოში; 1881 წლიდან ეთორნი სოლისიტორმა ჩანაცვლა.

<sup>23</sup> კოჰეზია (ლათ. *cohaesus* „დაკავშირებული“, „მიბმული“) – ლინგვისტიკაში ტექსტის ან წინადადების გრამატიკულ-ლექსიკური თანმიმდევრულობა, რომელიც მას ერთ მთლიანობად აქცევს და მნიშვნელობას ანიჭებს; ტექსტის/დისკურსის ერთ-ერთი განმსაზღვრელი მახასიათებელი და ტექსტუალურობის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა. ტექსტის ლინგვისტიკის თეორიის ერთ-ერთი ძირითადი ცნება. ვერბალური ნაწარმოების არა მხოლოდ სტრუქტურული, არამედ სემანტიკური მთლიანობის განმსაზღვრელი. კოჰეზიას ასევე ტექსტის სტრუქტურულ ერთიანობას უწოდებენ.

<sup>24</sup> შეგებებული სარჩელი ეწოდება → სარჩელს, რომელსაც მოპასუხე აღმრავს იმავე საქმის წარმოების დროს მოსარჩელის სარჩელთან ერთად განსახილველად (შეგებებული სარჩელი, 2023).

შეთანხმება/процессуальный договор.<sup>25</sup> ამ შემთხვევაში მნიშვნელობის გასარკვევად მიზანშეწონილია თარგმანის კომენტარი.

კლიშეები და შტამპები უზრუნველყოფენ კანონის ენის სიზუსტეს, ხელს უწყობენ საქმიან კომუნიკაციას და დოკუმენტის სწრაფ და ზუსტ მომზადებას. მთარგმნელის ამოცანაა დაადგინოს ეკვივალენტობა ამოსავალი ენის შტამპებსა და კლიშეებს და ენარეციპიენტის შტამპებსა და კლიშეებს შორის, თავიდან აიცილოს ცდომილებები. მაგ., ტიპური თხოვნის/განცხადების დასკვნითი ფრაზა ფრანგულად უღერს როგორც *Avec l'espoir que vous prendrez notre demande en considération, nous vous prions d'agréer l'expression de nos sentiments les meilleurs.* წინადადების პირდაპირი ქართული თარგმანია: იმ იმედით, რომ ჩვენი თხოვნა დაკმაყოფილდება, გთხოვთ, მიიღოთ ჩვენი ღრმა პატივისცემის გამოხატვა. რუსული სიტყვასიტყვითი თარგმანია: *Надеяясь, что наша просьба будет удовлетворена, просим Вас принять выражение нашего глубочайшего уважения. тუმცა, ქართულ ენაზე კომუნიკაციის თავისებურებების გათვალისწინებით, უპრიანია შემდეგი კლიშეს გამოყენება: ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი თხოვნა დაკმაყოფილდება. პატივისცემით. ასევე რუსულად უმჯობესია გამოვიყენოთ ფორმა: Надеемся, что наша просьба будет удовлетворена. С уважением.*

ყურადღება უნდა მიექცეს შემოკლებებს, აბრევიატურებს. მათი ენიდან ენაში გადატანა ხშირად პრობლემატურია და უფრო ტრადიციაზეა დამოკიდებული, ვიდრე თარგმნის პრაგმატულ წესებზე. ამ მხრივ საინტერესოა საერთაშორისო ტერმინი-აბრევიატურები გაერო<sup>26</sup> და ნატო<sup>27</sup> ორივე ინიციალური აბრევიატურაა (აკრონიმია).

<sup>25</sup> საპროცესო შეთანხმება წარმოადგენს სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის საფუძველს. საპროცესო შეთანხმების საფუძველია შეთანხმება ბრალზე ან სასჯელზე, რომლის შეთავაზება შეუძლია როგორც ბრალდებულს (მსჯავრდებულს), ისე პროკურორის. სასამართლოში საქმის განხილვისას სასამართლოს უფლება აქვს მხარეებს შესთავაზოს საპროცესო შეთანხმების დადება. სასჯელზე შეთანხმებისას ბრალდებული არ ეწინააღმდეგება წაყენებულ ბრალს, თუმცა ეთანხმება პროკურორს სასჯელის ზომაზე ან მისგან სრულად გათავისუფლებაზე. სასჯელზე შეთანხმების შედეგია პირის ნასამართლობა. ბრალზე შეთანხმებისას კი ბრალდებული აღიარებს დანაშაულს. საპროცესო შეთანხმება იდება ზემდგომ პროკურორთან წინასწარი წერილობითი შეთანხმებით. საპროცესო შეთანხმების საფუძველზე პროკურორს უფლება აქვს, მოითხოვოს ბრალდებულისთვის სასჯელის შემცირება ან დანაშაულთა ერთობლიობისას მიიღოს გადაწყვეტილება მისთვის ბრალდების შემსუბუქების ან ნაწილობრივ მოხსნის თაობაზე, რომლის დროსაც პროკურორი ითვალისწინებს საჯარო ინტერესს, ჩადენილი დანაშაულისთვის გათვალისწინებული სასჯელის სიმძიმეს, ქმედების მართლწინააღმდეგობას და ბრალეულობის ხარისხს (განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი. იხ.: (საპროცესო შეთანხმება, 2023).

<sup>26</sup> გაერო – საერთაშორისო ორგანიზაცია, შექმნილი მსოფლიო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებისა და განმტკიცებისთვის, ასევე სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობის გასავითარებლად. გაერო შეიქმნა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ანტიკიტლერულ კოალიციაში შემავალი ქვეყნების მიერ; მან შეცვალა არაეფექტურ ერთა ლიგა. გაეროს მირითადი ფუნქცია მომავალი ომების თავიდან აცილებაა. გაერო ითვლება უნივერსალურ ფორუმად, რომელსაც აქვს უნიკალური ლეგიტიმაცია, კოლექტური უსაფრთხოების საერთაშორისო სისტემის დამხმარე სტრუქტურა, თანამედროვე მრავალმხრივი დიპლომატიის მთავარი ელემენტი. გაეროს შტაბ-ბინა ნიუ-იორკშია; გაეროს ასევე აქვს ოფისები ვენაში, უნივერსა და ნაირობში. გაეროს საერთაშორისო სასამართლო მდებარეობს ჰავაზში. 2011 წლიდან გაეროს წევრია 193 ქვეყანა.

<sup>27</sup> ნატო – ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია, ჩრდილოატლანტიკური ალიანსი. სამხედრო-პოლიტიკური ბლოკი, რომელიც აერთიანებს ევროპის ქვეყნების უმეტესობას (მათ შორის თურქეთს), ამერიკის შეერთებულ შტატებს და კანადას. დაარსდა 1949 წლის 4 აპრილს აშშ-ში. თავდაპირველად ნატოში 12 ქვეყანა შედიოდა: აშშ, კანადა, ისლანდია, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ბელგია, ნიდერლანდები, ლუქსემბურგი, ნორვეგია, დანია, იტალია და პორტუგალია. ამჟამად ნატოს წევრი 31 ქვეყანაა. ნატოს შექმნის მიზანი იყო ევროპის დაცვა საბჭოთა ექსპანსიის

შედგება სიტყვის პირველი ასოებისგან/ბგერებისგან; იწერება საზოგადოდ მიღებული ინგლისური ვერსიით, თუმცა მათი სხვადასხვა ენაზე ვერბალიზება თარგმნის/გადატანის ორ განსხვავებულ პრინციპს ეყრდნობა. ინგ.: *UN – United Nations Organization/United Nations; ფრანგ.: ONU – Organisation des Nations unies; რუს.: ООН – Организация Объединенных Наций; ქართ.: გაერო – გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. აბრევიატურა სიტყვასიტყვითი თარგმნის/კალკირების კლასიკური მაგალითია. ინგ.: NATO – North Atlantic Treaty Organisation; ფრანგ.: OTAN – Organisation du traité de l'Atlantique nord; რუს.: НАТО – Организация Североатлантического договора/Североатлантический альянс; ქართ.: ნატო – ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია/ჩრდილოატლანტიკური ალიანსი. ამ შემთხვევაში აბრევიატურა ტრანსკრიფცია/ტრანსლიტერაციის სტრატეგიით გადადის. განსხვავებულია ფრანგული ვარიანტი, რომელიც წინადადების ფრანგულ სტრუქტურას ეყრდნობა, თუმცა ვიზუალურად ის ამოტრიალებულ ინგლისურ ვერსიას იმეორებს. ორგანიზაციის სრული სახელწოდება ყველა დასახელებულ ენაზე სიტყვასიტყვითი თარგმნის/კალკირების წესითაა გადატანილი.*

ამრიგად, იურიდიული ტექსტი როგორც ორიგინალში, ისე თარგმანში სწორხაზოვანი, ერთმნიშვნელოვანი და ერთგვაროვანი უნდა იყოს; უნდა მოხდეს ნიშანთა და გარემოებათა კონკრეტზაცია; სამართლებრივი ლექსიკის, ფორმულირებების და ტერმინების ადეკვატური გამოყენება და სხვა ენაზე გადატანა; სტრუქტურების აგებისას დაცული უნდა იყოს ფორმალური ლოგიკის ყველა წესი: ლაკონიურობა, ნეიტრალურობა, უპიროვნობა, ობიექტურობა, იმპერატიულობა, კონსტრუქციების სისრულე და ერთფეროვნება; დაცული უნდა იყოს კოპეზია, გამეორებები. თარგმანში უნდა შენარჩუნდეს იურიდიულ დოკუმენტში არსებული ყველა ნიუანსი: თარგმნას ექვემდებარება არა მხოლოდ იურიდიული დოკუმენტის ძირითადი ტექსტი, არამედ სათაური, ბეჭდები, შტამპები, სქოლიო.

**დასკვნები.** იურისლინგვისტიკა და ლინგვოიურისტიკა თანამედროვე მეცნიერების სწრაფად განვითარებადი დარგებია. ზოგადსალიტერატურო და იურიდიული ენების ჰარმონიზაციის ერთ-ერთი ძირითადი პირობა სამართლის სფეროში მომუშავე სპეციალისტების ლინგვისტური განათლების დონის ამაღლებაა; სასურველია, იურისტი სიღრმისეულად ჩასწვდეს ენის აგებულებისა და ფუნქციონირების კანონზომიერებებს, რაც რეალურად მრავალი გაუგებრობის და კონფლიქტის პრევენციაა. იმავე საქმეს ემსახურება იურიდიული ტექსტების სათანადო თარგმნა, რაც საერთაშორისო მასშტაბებს მოიცავს. იურიდიული ტერმინოლოგიის არსებული ორენოვანი ლექსიკონები თარგმნის პრობლემას ვერ ჭრის, ვინაიდან სხვადასხვა კონტექსტი თარგმნის განსხვავებულ სტრატეგიებს მოითხოვს. იურიდიული ტექსტის თარგმნისას აუცილებელია სხვადასხვა ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ფაქტორის გათვალისწინება, რომლებიც გავლენას ახდენენ იურიდიული თარგმნის სპეციფიკაზე. საუკეთესო შედეგი ორივე დარგის სპეციალისტის – იურისტის და მთარგმნელის – კოლაბორაციით მიიღწევა.

---

შესაძლო საფრთხისგან. ნატო არის „ტრანსატლანტიკური ფორუმი“ მოკავშირე ქვეყნებისთვის და განიხილავს ნებისმიერ საკითხს, რომელიც ეხება მისი წევრების სასიცოცხლო ინტერესებს, მათ შორის მოვლენებს, რომლებმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას მათ უსაფრთხოებას. ნატოს ერთ-ერთი გაცხადებული მიზანია მისი წევრი სახელმწიფოს ტერიტორიის დაცვა აგრესიისგან.

## გამოყენებული ლიტერატურა:

- ამირეჯიბი, ბ., & ხატიაშვილი, ხ. (2015). ეხა, როგორც კანონმდებლის აზრისა და ნების განხორციელების საშუალება სამართლებრივ მენტალობაში. საურთაშორისო კონფერენცია „განათლება, კონომიკა და მდგრადი განვითარება“. გორი.
- დელიქტი. (22.04.2023). განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი. მოძიებულია ვებგვერდიდან: <http://gil.mylaw.ge/ka/term/741.html>
- დიფამცია. (22.04.2023). განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი. მოძიებულია ვებგვერდიდან: <http://gil.mylaw.ge/ka/term/741.html>
- მანუსმრიტის კანონებიდან. (15.04.2023.). მოძიებულია ვებგვერდიდან: <http://genia.ge/?p=25418>
- საპროცესო შეთანხმება. (05.04.2023.). განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი. მოძიებულია ვებგვერდიდან: <http://gil.mylaw.ge/ka/term/535.html>
- შეგებებული სარჩელი. (05.04.2023.). განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი. მოძიებულია ვებგვერდიდან: <http://gil.mylaw.ge/ka/term/741.html>
- ხატიაშვილი, ხ., & ამირეჯიბი, ბ. (2014). იურიდიული ტერმინოლოგიის რუსულ-ქართული ღუჯიშიკონ-ცხოვარი. თბილისი: თესუ გამოცემლობა.
- Cotterill, E.B. (2002). *Language in the Legal Process*. New-York.
- Александров, А. С. (2000). Юридическая техника – судебная лингвистика – грамматика права. *Проблемы юридической техники*, 132.
- Алексеева, И. С. (2001). *Профессиональный тренинг переводчика*. С.-Петербург: Изд. СПБГУ.
- Базылев, В. Н., Бельчиков, Ю. А., Леонтьев, А. А., & Сорокин, Ю. А. (1997). *Понятие чести и достоинства, оскорблений и ненормативности в текстах права и средств массовой информации*. Москва: Права человека.
- Баранов, А. Н. (2007). Дело Ф. Б. Киркорова. *Лингвистическая экспертиза текста: теоретические основания и практика*. (стр. 200-400). Москва: Флинта.
- Виноградова, Е. А. (2021). Юрислингвистика. Определение и история, свойства и задачи. *Общественные науки. Языкознание*, 1-10.
- Витгенштейн, Л. (1985). Философские исследования. *Новое в зарубежной лингвистике*. Вып. 16, 55.
- Голев, Н. Д. (2006). Правовая коммуникация в зеркале естественного языка. *Юрислингвистика-7. Язык как феномен правовой коммуникации*. Межвуз. сб. науч. ст., 56-77.
- Дигесты Юстиниана. (1984). Избранные фрагменты с переводом и примечаниями И. С. Петерского. Москва: Наука.
- Законы вавилонского царя Хаммурапи. (22.04.2023). Получено из: <https://www.hist.msu.ru/ER/Etext/hammurap.htm>
- Киндеркнехт, А. С. (2015). Особенности перевода юридических текстов. *Ученые записки Орловского государственного университета*. №5 (68), 67-86.
- Костомаров, В. Г. (1999). *Языковой вкус эпохи*. Москва: Златоуст.
- Maat. (22.04.2023). Получено из: <https://24smi.org/person/3646-maat.html>
- Мечковская, Н. Б. (1998). *Язык и религия: лекции по филологии и истории религий*. Москва: Фаир.
- Милюсавская, Д. И. (05.04.2023). *Типовые трудности семантической интерпретации юридического текста*. Получено из: <https://cyberleninka.ru/article/n/tipovye-trudnosti-semansticheskoy-interpretsii-yuridicheskogo-teksta-1/viewer>
- Мущинина, М. М. (2004). О правовой лингвистике в Германии и Австрии. *Юрислингвистика-5: Юридические аспекты языка и лингвистические аспекты права*, 19-32.
- Орлова, О. В. (2002). К вопросу о роли коммуникативного подхода в лингвистической экспертизе. *Юрислингвистика-3*, 45-67.
- Особенности юридического перевода. (18.04.2023). Получено из: <https://linguacontact.com/blog/osobennosti-yuridicheskogo-perevoda/>
- Соссюр, Ф. (2022). *Курс общей лингвистики*. Москва: ЛитРес.

- Филлмор, Ч. Дж. (1983). Об организации семантической информации в словаре. *Новое в зарубежной лингвистике. Вып. 14*, 201.
- Формальная логика. (10.04.2023). Получено из: *Философия как предмет науки*: <https://filslov.ru/491-formalnaya-logika.html>

**REFERENCES:**

- amirejibi, n., & khat'iashvili, kh. (2015). ena, rogorts k'anonmdeblis azrisa da nebis gankhortsielebis sashualeba samartlebri ment'alobashi [Language as a means of realizing the opinion and will of the legislator in legal consciousness]. *saertashoriso k'onperentsia „ganatleba, ek'onomik'a da mdgradi ganvitareba“* [International Conference “Education, Economy and Sustainable Development”]. Gori.
- delikt'i* [delict]. (22.04.2023). ganmart'ebiti iuridiuli leksik'oni [Explanatory Legal Dictionary]. Retrieved from <http://gil.mylaw.ge/ka/term/741.html>
- dipamatsia* [defamation]. (22.04.2023). ganmart'ebiti iuridiuli leksik'oni [Explanatory Legal Dictionary]. Retrieved from <http://gil.mylaw.ge/ka/term/741.html>
- manusmrit'is k'anonebidan* [From Canons of Manusmriti]. (15.04.2023.). Retrieved from <http://genia.ge/?p=25418>
- sap'rotseso shetankhmeba* [plea agreement]. (05.04.2023.). ganmart'ebiti iuridiuli leksik'oni [Explanatory Legal Dictionary]. Retrieved from <http://gil.mylaw.ge/ka/term/535.html>
- shegebebuli sarcheli* [cross-claim]. (05.04.2023.). ganmart'ebiti iuridiuli leksik'oni [Explanatory Legal Dictionary]. Retrieved from <http://gil.mylaw.ge/ka/term/741.html>
- khat'iashvili, kh., & amirejibi, n. (2014). *iuridiuli t'erminologiis rusul-kartuli leksik'oni-tsnobari* [Russian-Georgian Dictionary-Reference of Legal Terminology]. Tbilisi: Tbilisi State University Publishing House.
- Cotterill, E.B. (2002). *Language in the Legal Process*. New-York.
- Aleksandrov, A.S. (2000). Juridicheskaja tehnika – Sudebnaja Lingvistika – Grammatika Prava [Legal Technique - Forensic Linguistics - Legal Grammar]. *Problemy juridicheskoy tehniki* [Problems of legal technique], 132.
- Alekseeva, I.S. (2001). *Professional'nyj trening perevodchika* [Professional training of a translator]. Saint Petersburg: Saint Petersburg State University Publishing House.
- Bazylev, V.N., Bel'chikov, Ju. A., Leon'tev, A. A., & Sorokin, Ju. A. (1997). *Ponjatie chesti i dostoinstva, oskorbleniya i nenormativnosti v tekstah prava i sredstv massovoj informacii* [The concept of honor and dignity, insult and deviance in the texts of law and the media]. Moscow: Prava Cheloveka.
- Baranov, A.N. (2007). Delo F. B. Kirkorova [Case of F.B. Kirkorov]. *Lingvisticheskaja jekspertiza teksta: teoretycheskie osnovaniya i praktika* [Linguistic expertise of the text: theoretical foundations and practice]. (pp. 200-400). Moscow: Flinta.
- Vinogradova, E.A. (2021). Jurislingvistika. Opredelenie i istorija, svojstva i zadachi [Legal Linguistics. Definition and history, properties and tasks]. *Obshhestvennye nauki. Jazykoznanie* [Social Sciences. Linguistics], 1-10.
- Vitgenshtejn, L. (1985). Filosofskie issledovanija [Philosophical studies]. *Novoe v zarubezhnoj lingvistike* [New in foreign linguistics]. Release 16, 55.
- Golev, N.D. (2006). Pravovaja kommunikacija v zerkale estestvennogo jazyka [Legal communication in the mirror of natural language]. *Jurislingvistika-7. Jazyk kak fenomen pravovoj kommunikacii. Mezhvuz. sb. nauch. st.* [Legal Linguistics-7. Language as a phenomenon of legal communication. Interuniversity collection of scientific articles]. pp. 56-77.
- Digesty Justiniana [Digests of Justinian]. (1984). Izbrannye fragmenty s perevodom i primechanijami I.S. Peterskogo [Selected fragments with translation and notes by I.S. Petersky]. Moscow: Nauka.
- Zakony vavilonskogo carja Hammurapi [Laws of the Babylonian king Hammurabi]. (22.04.2023). Retrieved from <https://www.hist.msu.ru/ER/Etext/hammurap.htm>
- Kinderknecht, A.S. (2015). Osobennosti perevoda juridicheskikh tekstov [Features of the translation of legal texts]. *Uchenye zapiski Orlovskogo gosudarstvennogo universiteta* [Scientific Notes of the Oryol State University]. №5 (68), 67-86.
- Kostomarov, V.G. (1999). *Jazykovoj vkus jepohi* [Language taste of the age]. Moscow: Zlatoust.

- Maat [Maat]*. (22.04.2023). Retrieved from <https://24smi.org/person/3646-maat.html>
- Mechkovskaja, N.B. (1998). *Jazyk i religija: lekcii po filologii i istorii religij* [Language and Religion. Lectures on philology and history of religions]. Moscow: Fair.
- Miloslavskaja, D.I. (05.04.2023). *Tipovye trudnosti semanticeskoy interpretacii juridicheskogo teksta* [Typical difficulties in the Semantic interpretation of a Legal Text]. Retrieved from <https://cyberleninka.ru/article/n/tipovye-trudnosti-semanticeskoy-interpretatsii-yuridicheskogo-teksta-1/viewer>
- Mushhinina, M.M. (2004). O pravovoj lingvistike v Germanii i Avstrii [About Legal Linguistics in Germany and Austria]. *Jurislingvistika-5: Juridicheskie aspekty jazyka i lingvisticheskie aspekty prava* [Legal Linguistics-5: Legal aspects of language and linguistic aspects of law], 19-32.
- Orlova, O.V. (2002). K voprosu o roli kommunikativnogo podkhoda v lingvisticheskoy jekspertize [On the question of the role of the communicative approach in linguistic expertise]. *Jurislingvistika-3* [Legal Linguistics-3], 45-67.
- Osobennosti juridicheskogo perevoda* [Features of legal translation]. (18.04.2023). Retrieved from <https://linguacontact.com/blog/osobennosti-yuridicheskogo-perevoda/>
- Sossjur, F. (2022). *Kurs obshhej lingvistiki* [General Linguistics Course]. Moscow: LitRes.
- Fillmor, Ch.Dzh. (1983). Ob organizacii semanticeskoy informacii v slovare [On the organization of semantic information in a dictionary]. *Novoe v zarubezhnoj lingvistike* [New in foreign linguistics]. Release 14, 201.
- Formal'naja logika* [Formal Logic]. (10.04.2023). Retrieved from *Filosofija kak predmet nauki* [Philosophy as a subject of science]: <https://filslov.ru/491-formalnaya-logika.html>